



ვანის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის გზამკვლევი

გზამკვლევის შესახებ

სახელმწიფოს პრიორიტეტია საკუთარი მოსახლეობის დაცვა, მათი სოციალური ინტეგრირების ხელშეწყობა, თითოეული მოქალაქის ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა, ასევე მოქალაქეებისთვის იმის ახსნა თუ საიდან მოდის და სად მიდის თანხები სახელმწიფო ბიუჯეტში. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ აქტიური მოქალაქეების მეშვეობით.

გზამკვლევის მიზანია საზოგადოებისთვის იმ ძირითადი საკვანძო საკითხების მიწოდება, რომელსაც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. გზამკვლევის მეშვეობით დაინტერესებული პირი გაიგებს თუ რას ნიშნავს ტერმინი ბიუჯეტი, წარმოდგენა შეეძენება ბიუჯეტის მიმართულებებზე, ასევე ბიუჯეტით დაგეგმილ ღონისძიებებზე, მუნიციპალიტეტის მიერ წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობების მოცულობის და დასახული მიზნების მისაღწევად გასაწევი ხარჯების თაობაზე.

რას ნიშნავს ტერმინი „ბიუჯეტი“

სიტყვა ბიუჯეტი წარმოიშვა ძველი ნორმანდიული ენიდან, რაც საფულეს, ტყავის ქისას ნიშნავს. ზოგადი გაგებით ბიუჯეტი არის ფიზიკური ან იურიდიული პირის შემოსავლებისა და ხარჯების ნუსხა, დროის კონკრეტული პერიოდისათვის. კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვრება, როგორც შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.

დღევანდელი სახით ვანის მუნიციპალიტეტი ერთ იურიდიულად პირად ჩამოყალიბდა 2006 წლის ბოლოს. თვითმმართველი ერთეულის ერთიანი ბიუჯეტის მიღება და ფორმირება 2007 წლიდან იღებს სათავეს.

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხი განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში ყოველთვის იმყოფებოდა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მუნიციპალიტეტს უწოდებდნენ საქალაქო მმართველობას, რომელიც საკითხებს წყვეტდა ქალაქის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე. ტერმინი „მუნიციპალიტეტი“ თავის ისტორიას იწყებს ძველი რომის ეპოქიდან. ასე უწოდებდნენ ქალაქებს, რომლებიც ფლობდნენ



თვითმმართველობის უფლებას, სადაც საკითხების გადაწყვეტა ხორციელდებოდა არჩეული უზუცესების, საპატიო და წარჩინებული მოქალაქეების მიერ. თანამედროვე გაგებით ტერმინი „მუნიციპალიტეტი“ აღნიშნავს არჩეულ საქალაქო და სოფლის თვითმმართველობას.

ევროპული ქვეყნები 1985 წელს იღებენ ევროპულ ქარტიას ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, რომლითაც განსაზღვრავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითად პრინციპებს. საქართველო ევროპულ ქარტიას 2004 წელს შეუერთდა და იგი ძალაში 2005 წლიდან შევიდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება რამდენიმე ეტაპად განხორციელდა.

1991 წლის 30 აპრილს პირდაპირი კენჭისყრით არჩეულ იქნა სოფლის, თემის, დაბის და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების საკრებულოები. სოფლის, თემისა და დაბის საკრებულოებმა აირჩიეს რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების საკრებულოები, ხოლო რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებს - პრეფექტებს ნიშნავდა რესპუბლიკის პრეზიდენტი.

1992 წლის დასაწყისში ცენტრალური ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, სამხედრო საბჭოს აქტებით მოხდა პრეფექტის ინსტიტუციის გაუქმება. პრეფექტურების ნაცვლად შეიქმნა გამგეობები, ხოლო პრეფექტი გამგეობის თავმჯდომარით შეიცვალა, ზოგიერთ ქალაქში კი მერი დაინიშნა.

1997 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“. ამ კანონის საფუძველზე 1998 წელს ჩატარებული არჩევნებით, შეიქმნა ორდონიანი სისტემა: პირველი დონე - თვითმმართველობა სოფლებში, თემებში, დაბებსა და ქალაქებში. ჩამოყალიბდა ათასამდე თვითმმართველი ერთეული, რომლებსაც რაიონულ დონეზე აერთიანებდა პროპორციული სისტემით არჩეული საკრებულო.

2006 წელს ძალაში შევიდა ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, რომლის საფუძველზე იმავე წელს ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალური გამოცხადების დღიდან, გაუქმდა ქვედა დონე და ერთადერთ თვითმმართველ ერთეულად ყოფილი რაიონების ფარგლებში ფორმირებული მუნიციპალიტეტი გამოცხადდა.

2014 წელს ამოქმედდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს თანამედროვე ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სტრუქტურა

ბიუჯეტის სტრუქტურა მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: პირველ თავში მოცემულია ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, მათ შორის შემოსულობებისა და გადასახდელების გაშლა, ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაციების მიხედვით. მეორე თავში წარმოდგენილია ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტები და მათ ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერა და მიზანი, პროგრამები დაჯგუფებულია პრიორიტეტების, მათი განმახორციელებელი მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით და წარმოდგენილია თითოეული პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა. ამავე თავშია განსაზღვრული გადასახდელების მოცულობაც;

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება



ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის 2026 წლის შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი 2025 წლის გეგმასთან შედარებით გაზრდილია 2551,7 ათასი ლარით და განისაზღვრება 18200,0 ათასი ლარის ოდენობით. ზრდა 16,5% შეადგენს.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი განსაზღვრულია 18200,0 ათასი ლარით, ზრდა 2025 წლის გეგმასთან შეადგენს 15,8%, 2450,0 ათას ლარს.

დასახელება	2025 წლის გეგმა			2026 წლის გეგმა			სხვაობა	
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	ზრდა, თანხა	ზრდა, %
შემოსულობები	28967.1	13538.8	15428.3	18200.0	220.0	17980.0	2551.7	16.5%
შემოსავლები	28817.1	13538.8	15278.3	18100.0	220.0	17880.0	2601.7	17.0%
არაფინანსური აქტივების კლება	150.0	0.0	150.0	100.0	0.0	100.0	-50.0	-33.3%
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0%
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0%
გადასახდელები	30578.2	15048.2	15530.0	18200.0	220.0	17980.0	2450.0	15.8%
ხარჯები	18205.5	3133.7	15071.8	16994.0	220.0	16774.0	1702.2	11.3%
არაფინანსური აქტივების ზრდა	12317.1	11914.5	402.6	1178.0	0.0	1178.0	775.4	192.6%
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0%
ვალდებულებების კლება	55.6	0.0	55.6	28.0	0.0	28.0	-27.6	-49.6%
ნაშთის ცვლილება	-1611.1	-1509.4	-101.7	0.0	0.0	0.0		

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები

მუნიციპალიტეტის 2026 წლის შემოსავლები ჯამური მაჩვენებელი 2025 წლის გეგმასთან შედარებით გაზრდილია 17,0%-ით, 2601,7 ათასი ლარით და განისაზღვრება 18100,0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2025 წლის გეგმა			2026 წლის გეგმა			სხვაობა	
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	ზრდა, თანხა	ზრდა, %
შემოსავლები	28817.1	13538.8	15278.3	18100.0	220.0	17880.0	2601.7	17.0%
გადასახადები	12396.9	0.0	12396.9	13286.0	0.0	13286.0	889.1	7.2%
გრანტები	16063.6	13538.8	2524.8	4420.0	220.0	4200.0	1675.2	66.3%
სხვა შემოსავლები	356.6	0.0	356.6	394.0	0.0	394.0	37.4	10.5%

გადასახადები

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 13286,0 ათას ლარს ლარს, მათ შორის: ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 700,0 ათასი ლარით, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადის 12586,0 ლარით, რაც 2025 წლის გეგმას 7,6%-ით აღემატება.

დასახელება	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა	სხვაობა	
გადასახადები	12396.9	13286.0	ზრდა, თანხა	ზრდა, %
ქონების გადასახადი	700.0	700.0	0.0	0.0%
დამატებული ღირებულების გადასახადი	11696.9	12586.0	889.1	7.6%

გრანტები



2026 წლის ბიუჯეტის პროექტში გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი 4420,0 ათას ლარს შეადგენს. გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი ბიუჯეტის შემოსავლების 23%-ია.

დასახელება	2025 წლის გეგმა			2026 წლის გეგმა			სხვაობა	
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	ზრდა, თანხა	ზრდა, %
გრანტები	16063.6	13538.8	2524.8	4420.0	220.0	4200.0	1675.2	66.3%
მიზნობრივი ტრანსფერი	644.4	644.4	0.0	220.0	220.0	0.0	0.0	0.0%
დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	172.7	172.7	0.0	220.0	220.0	0.0	0.0	0.0%
საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	471.7	471.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0%
კაპიტალური ტრანსფერი	8025.2	8000.4	24.8	0.0	0.0	0.0	-24.8	-
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	5855.9	5855.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0%
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	580.0	580.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0%
საჯარო სკოლების რეაბილიტაცია	710.2	710.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0%
საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია	600.0	600.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0%
მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობა	254.3	254.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0%
გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)	24.8	0.0	24.8	0.0	0.0	0.0	-24.8	-
სპეციალური ტრანსფერი	7394.0	4894.0	2500.0	4200.0	0.0	4200.0	1700.0	68.0%
სტიქიის ლიკვიდაციის პროგრამა	4799.0	4799.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0%
სხვა სპეციალური ტრანსფერი	2595.0	95.0	2500.0	4200.0	0.0	4200.0	1700.0	68.0%

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების პროგნოზი 2025 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით 10,5% არის გაზრდილი და განისაზღვრება 394,0 ათასი ლარის რედაქციით.

დასახელება	2025 წლის გეგმა			2026 წლის გეგმა			სხვაობა	
	სულ	2025 წლის გეგმა	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	2026 წლის გეგმა	ზრდა, თანხა	ზრდა, %
სხვა შემოსავლები	356.6	0.0	356.6	394.0	0.0	394.0	37.4	10.5%
შემოსავლები საკუთრებიდან	216.6	0.0	216.6	254.0	0.0	254.0	37.4	17.3%
პროცენტები	40.0	0.0	40.0	40.0	0.0	40.0	0.0	0.0%
რენტა	176.6	0.0	176.6	214.0	0.0	214.0	37.4	21.2%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	70.0	0.0	70.0	50.0	0.0	50.0	-20.0	-28.6%
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	50.0	0.0	50.0	40.0	0.0	40.0	-10.0	-20.0%
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	20.0	0.0	20.0	10.0	0.0	10.0	-10.0	-50.0%
ჯარიმები, სანქციები და საურავები	40.0	0.0	40.0	70.0	0.0	70.0	30.0	75.0%
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	30.0	0.0	30.0	20.0	0.0	20.0	-10.0	-33.3%

ხარჯები

2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიმდინარე ხარჯების ჯამური მოცულობა შეადგენს 16994,0 ათას ლარს, რაც 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 11,3%, 1702,2 ათასი ლარით აღემატება.



დასახელება	2025 წლის გეგმა			2026 წლის გეგმა			სხვაობა	
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	ზრდა, თანხა	ზრდა, %
ხარჯები	18205.5	3133.7	15071.8	16994.0	220.0	16774.0	1702.2	11.3%
შრომის ანაზღაურება	4103.2	76.2	4027.0	4400.0	0.0	4400.0	373.0	9.3%
საქონელი და მომსახურება	2577.3	1069.7	1507.6	1695.0	0.0	1695.0	187.4	12.4%
პროცენტი	6.4	0.0	6.4	2.0	0.0	2.0	-4.4	-68.8%
სუბსიდიები	8432.5	189.6	8242.9	9379.0	200.0	9179.0	936.1	11.4%
გრანტები	16.0	0.0	16.0	20.0	0.0	20.0	4.0	25.0%
სოციალური უზრუნველყოფა	1048.0	20.0	1028.0	1103.0	20.0	1083.0	55.0	5.4%
სხვა ხარჯები	2022.1	1778.2	243.9	395.0	0.0	395.0	151.1	62.0%

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობისა და საერთო დანიშნულების 2026 წლის ასიგნების მოცულობა 5845,0 ათასი ლარით არის განსაზღვრული, რაც 498,0 ათასი ლარით აღემატება 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ზრდა 9,3 % შეადგენს

კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი			სხვაობა	
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	ზრდა, თანხა	ზრდა, %
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5490.1	143.1	5347.0	5845.0	0.0	5845.0	498.0	9.3%
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საკმისის უზრუნველყოფა	5248.1	143.1	5105.0	5665.0	0.0	5665.0	560.0	11.0%
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1395.2	5.2	1390.0	1565.0	0.0	1565.0	175.0	12.6%
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	3852.9	137.9	3715.0	4100.0	0.0	4100.0	385.0	10.4%
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	242.0	0.0	242.0	180.0	0.0	180.0	-62.0	-25.6%
01 02 01	სარეზერვო ფონდი	180.0	0.0	180.0	150.0	0.0	150.0	-30.0	-16.7%
01 02 03	ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	62.0	0.0	62.0	30.0	0.0	30.0	-32.0	-51.6%

ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. ბოლო წლების განმავლობაში, სწორედ ამ სფეროს დაფინანსებაზე მოდის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის უდიდესი წილი. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საბიუჯეტო პროგრამები: საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, მუნიციპალიტეტის კეთლმოწყობის ღონისძიებები, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, სამოქალაქო ბიუჯეტი. პრიორიტეტის ასიგნების მოცულობა საკუთარი სახსრების ნაწილში განსაზღვრულია 1485,0 ათასი ლარით, რაც 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელს 134,8%-ით, 852,5 ათასი ლარით აღემატება. აღსანიშნავია რომ, საწყის ბიუჯეტში არ არის



გთვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამითა და სხვა სახელმწიფო პროგრამებით განსახორციელებელი ღონისძიებები, რომლებიც 2026 წლის განმავლობაში, მთავრობის განკარგულების საფუძველზე აისახება ბიუჯეტში.

კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი			სხვაობა	
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	ზრდა, თანხა	ზრდა, %
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	12545.9	11913.4	632.5	1485.0	0.0	1485.0	852.5	134.8%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	10074.4	9717.9	356.5	1035.0	0.0	1035.0	678.5	190.3%
02 02	ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	272.3	266.1	6.2	0.0	0.0	0.0	-6.2	-
02 03	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0%
02 04	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	200.0	0.0	200.0	450.0	0.0	450.0	250.0	125.0%
02 05	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	849.4	809.6	39.8	0.0	0.0	0.0	-39.8	-
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	702.5	672.5	30.0	0.0	0.0	0.0	-30.0	-
02 07	სამოქალაქო ბიუჯეტი	447.3	447.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0%

დასუფთავება

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავების მომსახურებისა და დასუფთავების მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საბიუჯეტო პროგრამების დაფინანსება. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება, ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან, ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. 2026 წლის ასიგნება 1200,0 ათასი ლარით განისაზღვრა, ზრდა 9,1%-ს, 100,0 ათას ლარს შეადგენს.

კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი			სხვაობა	
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	ზრდა, თანხა	ზრდა, %
03 00	დასუფთავება	1107.0	7.0	1100.0	1200.0	0.0	1200.0	100.0	9.1%
03 01	მუნიციპალიტეტის დასუფთავების მომსახურება	1107.0	7.0	1100.0	1200.0	0.0	1200.0	100.0	9.1%
03 02	დასუფთავების მომსახურების მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0%

განათლება მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაფორმებული დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე



განახორციელებს საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისა და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს. პრიორიტეტის დაფინანსება 430,0 ათასი ლარით, 11,1%-ით არის გაზრდილი და 4300,0 ატას ლარს შეადგენს.

კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი			სხვაობა	
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	ზრდა, თანხა	ზრდა, %
04 00	განათლება	5070.2	1200.2	3870.0	4300.0	0.0	4300.0	430.0	11.1%
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	3870.0	0.0	3870.0	4300.0	0.0	4300.0	430.0	11.1%
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია	18.3	18.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0%
04 03	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	471.7	471.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0%
04 04	საჯარო სკოლების რეაბილიტაცია	710.2	710.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0%

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების სულიერი და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. უზრუნველყოფილი იქნება ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის ჩახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება. 2026 წლის ასიგნების მოცულობა 3720,0 ათას ლარს შეადგენს, ზრდა 391,5 ათასი ლარია, 11,8%.

კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი			სხვაობა	
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	ზრდა, თანხა	ზრდა, %
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3711.0	382.5	3328.5	3720.0	0.0	3720.0	391.5	11.8%
05 01	სპორტის სფეროს განვითარების ხელშეწყობა	1616.2	371.7	1244.5	1400.0	0.0	1400.0	155.5	12.5%
05 01 01	სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია	30.0	0.0	30.0	50.0	0.0	50.0	20.0	66.7%
05 01 02	სპორტული დაწესებულებების მხარდაჭერა	485.0	0.0	485.0	550.0	0.0	550.0	65.0	13.4%
05 01 03	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	396.3	1.3	395.0	440.0	0.0	440.0	45.0	11.4%
05 01 04	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	326.3	1.3	325.0	360.0	0.0	360.0	35.0	10.8%
05 01 05	სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	378.6	369.1	9.5	0.0	0.0	0.0	-9.5	-100.0%
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2014.8	10.8	2004.0	2170.0	0.0	2170.0	166.0	8.3%
05 02 01	კულტურის ღონისძიებების ორგანიზება	1030.0	0.0	1030.0	1150.0	0.0	1150.0	120.0	11.7%
05 02 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	810.0	0.0	810.0	900.0	0.0	900.0	90.0	11.1%
05 02 03	კულტურის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	54.8	10.8	44.0	0.0	0.0	0.0	-44.0	-100.0%



კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი			სხვაობა	
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	ზრდა, თანხა	ზრდა, %
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	120.0	0.0	120.0	120.0	0.0	120.0	0.0	0.0%
05 03	კულტურისა და ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება	80.0	0.0	80.0	150.0	0.0	150.0	70.0	87.5%

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს უზრუნველყოფს დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან. 2026 წლის ასიგნების მოცულობა 1500,0 ათას ლარს შეადგენს, ზრდა 150,0 ათასი ლარია, 13,3%.

კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი			სხვაობა	
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	ზრდა, თანხა	ზრდა, %
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2532.0	1402.0	1130.0	1500.0	220.0	1280.0	150.0	13.3%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	189.0	189.0	0.0	200.0	200.0	0.0	0.0	0.0%
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	189.0	189.0	0.0	200.0	200.0	0.0	0.0	0.0%
06 02	სოციალური დაცვა	2338.0	1213.0	1125.0	1295.0	20.0	1275.0	150.0	13.3%
06 02 01	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	50.8	0.0	50.8	70.0	0.0	70.0	19.2	37.8%
06 02 02	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	35.0	0.0	35.0	35.0	0.0	35.0	0.0	0.0%
06 02 03	სამედიცინო დახმარება	470.0	0.0	470.0	520.0	0.0	520.0	50.0	10.6%
06 02 04	ქრონიკული დაავადების მქონე პირთა დახმარება	145.0	0.0	145.0	145.0	0.0	145.0	0.0	0.0%
06 02 05	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	65.0	0.0	65.0	70.0	0.0	70.0	5.0	7.7%
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა	70.0	0.0	70.0	70.0	0.0	70.0	0.0	0.0%
06 02 07	სტიქიით დაზარალებულთა დახმარება	1293.0	1193.0	100.0	180.0	0.0	180.0	80.0	80.0%
06 02 08	დღეგრძელთა დახმარება	12.0	0.0	12.0	10.0	0.0	10.0	-2.0	-16.7%
06 02 09	ვეტერანთა დახმარება	13.0	0.0	13.0	13.0	0.0	13.0	0.0	0.0%
06 02 10	მარჩენალდაკარგულ პირთა დახმარება	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0	0.0	0.0%
06 02 11	სტუდენტთა დახმარება	37.0	0.0	37.0	37.0	0.0	37.0	0.0	0.0%
06 02 12	ძალადობის მსხვერპლთა დახმარება	3.0	0.0	3.0	3.0	0.0	3.0	0.0	0.0%



კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი			სხვაობა	
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	ზრდა, თანხა	ზრდა, %
06 02 13	ბინის ქირით უზრუნველყოფა	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0	0.0	0.0%
06 02 14	სარიტუალო დახმარება	15.0	0.0	15.0	15.0	0.0	15.0	0.0	0.0%
06 02 15	მარტოხელა მშობელთა დახმარება	9.2	0.0	9.2	7.0	0.0	7.0	-2.2	-23.9%
06 02 16	განსაკუთრებულ საჭიროების მქონე პირთა დახმარება	40.0	0.0	40.0	40.0	0.0	40.0	0.0	0.0%
06 02 17	ბავშვის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა	40.0	20.0	20.0	40.0	20.0	20.0	0.0	0.0%
06 02 18	სხვა სოციალური ღონისძიებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0%
06 03	ქალთა და ბავშვთა საკითხების მხარდაჭერა	5.0	0.0	5.0	5.0	0.0	5.0	0.0	0.0%

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის განსახორციელებელი პროექტები მიზნად ისახავს ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირებას და პოპულარიზაციას, მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლებას, ტურისტული ლოკაციების შესახებ ცნობადობის ამაღლებას და პოპულარიზაციას. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი და შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ცნობადობის ამაღლება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე. ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის თემატური სემინარების, ვორქშოპების და ტრენინგების ჩატარება; ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიების ორგანიზება/თანაორგანიზება. პრიორიტეტის ასიგნება 150,0 ათასი ლარით განისაზღვრა.

კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა			2026 წლის პროექტი			სხვაობა	
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	ზრდა, თანხა	ზრდა, %
07 00	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	122.0	0.0	122.0	150.0	0.0	150.0	28.0	23.0%
07 01	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	122.0	0.0	122.0	150.0	0.0	150.0	28.0	23.0%